სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

„სახელმწიფო შესყიდვების“ სპეციალიზებული კურსი

დისტანციური სწავლების - „Webex-პლატფორმის“ გამოყენებით

პროკურატურის თანამშრომელთათვის

სპეციალიზებული სასწავლო კურსის პროგრამა

- თითოეული Webex-მეცადინეობის ხანგრძლივობაა ერთი აკადემიური საათი, ანუ 45 წუთი; მას მოყვება 15 წუთიანი შესვენება
- სულ გათვალისწინებულია 11 Webex-მეცადინეობის-სესიის ჩატარება
- გათვალისწინებულია 10 თემატური მეცადინეობა და ერთი, დასასრულს, სპეციალური სესია სრულად მიეძღვნება დისტანციური სწავლების დღეებში დაგროვილი კითხვების პასუხებს; ამ ბოლო, Q&A სესიას დაესწრება ყველა ტრენერი; დისტანციური სწავლების კურსის ეფექტიანად წარმართვისთვის, აგრეთვე ამ საბოლოო სესიის სათანადოდ მოსამზადებლად ყველა მსმენელს მოეთხოვება სწავლების აქტიურ პერიოდში იყოს ე.წ. „Mute“ რეჟიმში, შემდეგ წინასწარ გამოაგზავნოს კურსის დროს დაგროვილი შეკითხვები წერილობით, არაანონიმურ რეჟიმში, სააგენტოს სასწავლო ცენტრის ელ.ფოსტაზე - training.center@spa.ge;
- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული, დისტანციური სწავლების 10 სესიის თითოეული მეცადინეობის ერთი აკადემიური საათი დაიყოფა ორ ნაწილად = 40 + 5 წუთი, რომელთაგან პირველი 40 წუთი მიეძღვნება სალექციო კურსს, ხოლო მომდევნო 5 წუთი - კითხვებს, რომლებიც ეხება კონკრეტულად ამ სალექციო კურსს
- დამატებით, მსმენელებს შეეძლებათ მოისმინონ და ნახონ სააგენტოს მიერ მომზადებული ტელე-გაკვეთილები და სხვა ვიდეო-„თვითმასწავლებელი“-დიდაქტიკური და მეთოდურ-პრაქტიკული მასალები შემდეგ ვებ-ლინკებზე:

  http://procurement.gov.ge/News/news-(148).aspx;
  http://procurement.gov.ge/TrainingCenter/tc-summer.aspx;

https://www.facebook.com/watch/?v=2657636734507811;
https://www.facebook.com/pg/StateProcurementAgency/videos/?ref=page_internal;
http://procurement.gov.ge/Video/video-lessons.aspx
http://procurement.gov.ge/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi.aspx

- მსმენელთა რაოდენობაა - 80 პროკურატურის თანამშრომელი
- მსმენელები დაყოფილი არიან პირობითად 4 ვირტუალურ ჯგუფად, 20-20 მსმენელი თითოეულ ჯგუფში
- პირველი ორი ჯგუფისთვის დისტანციური სწავლება ჩატარდება 2020 წლის ივლისში (პირველი ჯგუფი: 14.07.2020 - 17.07.2020 ; მეორე ჯგუფი: 20.07.2020 – 23.07.2020); დარჩენილი ორი ჯგუფისთვის - 2020 წლის სექტემბერში; პირველი და მეორე ჯგუფებისათვის მეცადინეობები ყოველ დღე დაიწყება დილის 10:00 საათიდან და დასრულდება 13:00 სთ. (გთხოვთ, იხილოთ თითოეული ჯგუფისათვის თანდართული კალენდარული გეგმა)
- ზოგიერთი Webex-მეცადინეობის დროს, სააგენტოს რამდენიმე ტრენერი ერთდროულად გაუძღვება შესაბამის თემას
- თემების მიმდევრობას აქვს გარკვეული მნიშვნელობა; მნიშვნელოვანია ამ ათი სასწავლო თემის მოსმენა მოხდეს შემოთავაზებული მიმდევრობით

1. სახელმწიფო შესყიდვების არსი, მნიშვნელობა, ძირითადი „ეკოსისტემა“

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

რა არის სახელმწიფო შესყიდვა, რას ემსახურება და რა მიზნებს ისახავს იგი?

სახელმწიფო შესყიდვების არსი, მარეგულირებელი კანონმდებლობა, სამართლებრივი სისტემა.

ღიაობა, როგორც შესყიდვების პროცესის ლაიტმოტივი.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი პროცესი, მისი ეტაპები, პრაქტიკული ასპექტები საუკეთესო შედეგის მისაღებად.

ვინ არიან შესყიდვის მონაწილეები?

შემსყიდველი ორგანიზაციის ცნება, მისი უფლება-მოვალეობები.

ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, ხელშეკრულების ძირითადი დებულებები, გარანტია, პირგასამტეხლო, ცვლილებები ხელშეკრულებაში, ასევე, განხვავებული მიდგომები ინფრასტრუქტული პროექტების ხელშესაწყობად.

Contract Management-ის კომპლექსური პროცესი.

საქართველოს მთავრობის კომპეტენცია ცალკეულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, როგორც კანონის მოთხოვნათა შესრულებასა და დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო.

შესყიდვების განხორციელება სპეციალური წესებით.

მოკლედ საიდუმლო შესყიდვებზე.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი „ეკოსისტემა“, მასში შემავალი „აქტორები“ და „სტეიკჰოლდერები“.

შესყიდვების განხორციელება დონორების სახსრებით.

საჯარო შესყიდვების როლი წამყვანი ქვეყნების GDP, შიდა მეურნეობაში და საგარეო ვაჭრობაში; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ზოგიერთი მაგალითი.

<u>სააგენტოს ტრენერები:</u>

გიორგი ლაცაბიძე; ანი ჭანია

2. დაგეგმვა, როგორც მნიშვნელოვანი ეტაპი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას. ბაზრის მოკვლევის მნიშვნელობა. შერჩევა-შეფასების, გამარჯვებულის გამოვლენის და მისი დაკონტრაქტების ეტაპები.

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, მისი შედგენა, წარდგენა და მასთან დაკავშირებული პროცედურები.

შესყიდვების მონეტარული ზღვრის დარღვევა.

შესყიდვის ხელოვნური დაყოფა.

ხელშეკრულების დადება, ხელშეკრულების ცვლილება, ხელშეკრულების სტატუსები და ანგარიშგება.

მონეტარული ზღვრები.

ხელშეკრულების სავალდებულო პირობები და გამონაკლისები.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, წინასწარი ანგარიშსწორება, ინტერესთა კონფლიქტი.

ბაზრის კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

ზოგიერთი პროცედურის დეტალური მიმოხილვა, მათი გამოყენების თავისებურებები.

სასარგებლო რჩევები და რეკომენდაციები.

<u>სააგენტოს ტრენერები:</u>

მაია კუხალეიშვილი; ალექსანდრე ჩხიკვიშვილი

3. გამარტივებული შესყიდვები

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

გამარტივებული შესყიდვები, როგორც გამონაკლისი.

სააგენტოსთან შეთანხმების პროცედურები.

არსებული რეგულაციები და მათი გამოყენება ფორს-მაჟორულ ვითარებაში.

eProcurement - ელ.სისტემის SMP-მოდულის რაობა, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის შესაძლებლობა, შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვიანობა, ვადები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილებები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან გამარტივებული შესყიდვის დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეთანხმების წესი.

<u>სააგენტოს ტრენერი:</u>

ირაკლი გოლეთიანი

4. სახელმწიფო შესყიდვების ზედამხედველობის, მონიტორინგის და კონტროლის პროცესი

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

სატენდერო კომისიის შექმნა, დაკომპლექტების წესი, უფლება-მოვალეობები; ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა.

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და გამოცხადება; ვადები და მონეტარულ ზღვრებთან მისი ურთიერთმიმართება.

კითხვა-პასუხის მოდული.

ტენდერის სტატუსები და შესაბამის ეტაპებზე დოკუმენტების მოთხოვნის თანმიმდევრობა.

ტენდერის შეწყვეტა, სუბიექტური საფუძვლებით შეწყვეტის დაუშვებლობა.

შერჩევა-შეფასების ეტაპი, გამარჯვებულის გამოვლენა და მასთან ხელშეკრულების დადება.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია.

წინასწარი ანგარიშსწორების გარანტია.

ტენდერის მიმდინარეობისას განსაზღვრული ვადები.

დისკვალიფიკაციის ტიპები, სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის დაბრუნების/არ დაბრუნების საკითხი.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტიები (ოდენობები და წარმოდგენის პირობები/გამონაკლისები).

<u>სააგენტოს ტრენერი:</u>

გიორგი გოგიბერიძე

5. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევა. სამართალდარღვევათა შემადგენლობა, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის სუბიექტები, მათი კლასიფიცირება, დაკისრებული სანქციები.

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილება: სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებული საკითხების აღწერა, პროცედურული და საკანონმდებლო ასპექტები.

სამართალდარღვევის წარმოების პროცესის მოკლე აღწერა - დარღვევის აღმოჩენა, სააგენტოს რეაგირება და პროცედურის აღწერა, რა ქმედებებს ახორციელებს სააგენტო.

საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი მუხლების განხილვა (159 5, 159 9), რომელი მუხლების შემთხვევაში - ვის მიმართ გამოიყენება სანქცია და რა ოდენობის (არსებული პრაქტიკიდან რამდენიმე საკითხის განზოგადება შეიძლება მოკლედ).

როგორ უნდა იმოქმედოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ, რათა თავიდან აიცილოს არსებული სანქციები?

კონკურენციის დონე მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვებში.

ერთპრეტენდენტიანი ტენდერების სტატისტიკა. შესაძლო რისკების იდენტიფიცირება.

უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერების მიმოხილვა. მოკლე ანალიზი და რეკომენდაციები.

<u>სააგენტოს ტრენერები:</u>

თათა გორდელაძე; ანი ჭანია

6. ბიზნეს სექტორის მონაწილეობა და ჩართულობა სახელმწიფო შესყიდვებში

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

რა შესაძლებლობა ეძლევა ბიზნესს სახელმწიფო შესყიდვებში?

ზოგადი ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების მიმზიდველობის შესახებ.

როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა ბიზნესმა შესყიდვებში (რეგისტრაცია ერთიან ელ. სისტემაში, სისტემაში ინტეგრირებული ელ.-სერვისების მრავალფეროვნება და ბიზნესის მიერ მათი გამოყენების პრაგმატულობა, კითხვა-პასუხის მოდული, როგორც ერთგვარი გზამკვლევი ბიზნესისათვის)?

შესყიდვებში მონაწილეობა გაერთიანებული ძალისხმევით (ამხანაგობის ფორმით).

თეთრი სიის წარმოება, აუცილებელი პირობები თეთრ სიაში მოხვედრისათვის, პრივილეგიები.

შავ სიაში კომპანიის რეგისტრაციის საფუძვლები და შავ სიაში შეყვანის თანმდევი სამართლებრივი შედეგები - რა არის შავი სია; ვინ რეგისტრირდება შავ სიაში; რეგისტრაციის საფუძვლები; ძიების სერვისი; მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით სააგენტოსთვის მიმართვის დადგენილი ფორმის დაცვის ვალდებულება; ადმინისტარციული წარმოების ვადა და შედეგები; შავ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულების გაფორმების დაუშვებლობა.

რა უფლებები გააჩნიათ მიმწოდებლებს და რა შემთხვევები ითვლება დარღვევად, რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რათა დაიცვან მათი უფლებები?

<u>სააგენტოს ტრენერები:</u>

თათა გორდელაძე; ნინო კვაჭაძე

7. სახელმწიფო შესყიდვებში ხშირად დაშვებული შეცდომები და ხარვეზები

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

ელექტრონული ტენდერი - სატენდერო პირობები (არასრული შევსება ელ. დოკუმენტაციის, კონკრეტული სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის...მითითება, ორაზროვანი ჩანაწერი, არაადეკვატური მოთხოვნები); კითხვა-პასუხის მოდული (დასმულ კითხვაზე პასუხის არ გაცემა; შეუსაბამო პასუხი/განმარტება), შერჩევა-შეფასება (არასრულყოფილი/მოთხოვნილი პირობებისგან განსხვავებული წინადადების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლენა); სატენდერო კომისიის ოქმები (არასრულყოფილი ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებაზე).

მონიტორინგის პროცესში, სააგენტოს მიერ გამოყენებული მეთოდები და რისკ-ფაქტორები.

გამარტივებული შესყიდვა - ხელოვნური დაყოფა; ხელშეკრულება (სავალდებულო პირობების მიუთითებლობა, არასრულყოფილი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის/ღირებულების თაობაზე, შავ სიაში რეგისტრირებულთან დადება); ანგარიშგება (ინტერესთა კონფლიქტების წარმოუდგენლობა, ხელშეკრულების დაგვიანებით ატვირთვა, CMR მოდულში ინფორმაციის არასათანადო ასახვა, სტატუსების მინიჭება).

სასამართლო პროცესების მოკლე ანალიზი და დასკვნები.

სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკა.

<u>სააგენტოს ტრენერები:</u>

კოტე გუგეშაშვილი; ნინო კვაჭაძე; თათა გორდელაძე

8. კონსოლიდირებული ტენდერები

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

„ცენტრალიზებული“ შესყიდვების კონცეფცია - არსი; უპირატესობები და მოკლედ საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის შესახებ.

საქართველოში კონსოლიდირებული ტენდერების რაობა, მისი უპირატესობები, კონსოლიდირებული ტენდერის სპეციფიკა (განსხვავებული მიდგომები).

გამომცხადებელი სუბიექტი და გადაწყვეტილების მიღების რეგულაციები; „სთეიკჰოლდერები“/მხარეები და თითოეული მხარის ფუნქცია - შემსყიდველი, მიმწოდებელი, ცენტრ. შემსყიდველი ორგანო (სააგენტო), კომისია, მთავრობა.

რომელი შემსყიდველი ორგანიზაციებისათვისაა სავალდებული ცენტრალიზებული შესყიდვების მეთოდის გამოყენება?

კონსოლიდირებულ ტენდერებში გამარჯვებულად გამოვლენის სხვადასხვა მეთოდები.

რა სატენდერო პროცედურების განხორციელება უწევთ შემსყიდველებს ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელების პროცესში?

გეგმების წარმოდგენა კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემაში (CTD), გამარჯვებულ მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმება და ატვირთვა.

კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით შესყიდვებით შეძენილი საქონლის/მომსახურეობის ჩამონათვალი - რა შესყიდვის ობიექტებზეა უკვე დანერგილი „ცენტრალიზებული შესყიდვა“ საქართველოში? სტატისტიკური მონაცემები, თანხები, სხვ.

<u>სააგენტოს ტრენერი:</u>

დავით მორალიშვილი; გიორგი არსენაშვილი

9. დავების საბჭო

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

დავების საბჭოს ინსტიტუციური მოწყობა - სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს, კერძოდ კი ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის ჩატარებისას წარმოშობილ დავებს და ასევე „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შერჩევის პროცესიდან გამომდინარე დავებს განიხილავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭო; არსებობს საბჭოს ორი - 6 კაციანი და 10 კაციანი შემადგენლობა. ის, თუ რომელი შემადგენლობა განიხილავს დავას დამოკიდებულია კონკრეტული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე; საბჭოს 6 კაციან შემადგენლობაში პარიტეტული პრინციპის საფუძველზე შედის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამი წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამისი პროფილის სამი წარმომადგენელი; საბჭოს 10 კაციან შემადგენლობაში, გარდა ზემოაღნიშნული პირებისა, შედის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის თითო წარმომადგენელი, აგრეთვე აკადემიური წრეების შესაბამისი პროფილის ერთი წარმომადგენელი.

დავების განხილვის მექანიზმი და გასაჩივრების პროცედურა - დავების საბჭოს ელ. მოდულის გამოყენება, გასაჩივრების საგანი, ვადები, გადაწყვეტილების მიღება; საბჭოში საჩივრის წარდგენა შეუძლია მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ პირს. საჩივარი საბჭოს წარედგინება ელექტრონულად, სატენდერო/საკონკურსო განცხადებაში არსებული სისტემური ღილაკის მეშვეობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის“ დანართის შესაბამისად.

განზოგადებული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა, გასაჩივრება სასამართლო ინსტანციებში.

<u>სააგენტოს ტრენერები:</u>

ია შავერდოვი (1 ჯგუფი);

მარიამ ბარბაქაძე (2 ჯგუფი)

10. ელექტრონული სერვისები

<u>დისტანციური სწავლებით მოცული თემატიკა:</u>

ვებ-პორტალის procurement.gov.ge / spa.ge მიმოხილვა და მასში ჩაშენებული ვებ-გვერდები და ელ.სერვისები; მთავარი მენიუ დეტალურად, სიახლეების ზონა, თეთრი, შავი და გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიები, მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები, ახალი ბანერები, E-ბიბლიოთეკა, სამართლებრივი აქტები და სახელმძღვანელოები, სტატისტიკური ინფორმაცია, ღია მონაცემები, ბანერების სტრიქონი, სხვა.

eProcurement ელექტრონული სისტემის მიმოხილვა, შესაძლებლობები და სერვისები; შეტყობინებები, შესყიდვები დღეს, მომხმარებლები, ახალი შესყიდვა, რჩეული, პროექტები, პროფილი, CMR, ePlan, SMP, რანჟირება; ძიება სისტემაში, მულტი პარამეტრები; ძებნა საიდენტიფიკაციოთი და მიმწოდებლის სტატუსით.

ელ. ტენდერის პროცედურები/მეთოდები/ინსტრუმენტები (SPA, NAT, MEP, DAP, TEP, CON და ა.შ.).

სისტემის შემოსავლების სამსახურთან ელ. სერვისების ეფექტიანი გამოყენება; დღგ გადამხდელის სტატუსი და დავალიანება ბიუჯეტის მიმართ - ელ. სერვისის გამოყენების უფლებამოსილება, ვადა და ჩანაწერების დეტალები.

სიახლეები CMR მოდულში - არაერთგვაროვანი CPV-ების ჩაშლა ფასების მიხედვით, დოკუმენტის ტიპი, ePlan-ში და CMR-ში საფუძვლების შესაბამისობის აუცილებლობა; უწყვეტი, წლიური და მრავალწლიანი შესყიდვები.

კონსოლიდირებული ტენდერების ახალი ელ.მოდული, ხელშეკრულებების დამატება, ინფორმაციის მოძიება - შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის მოძიება, გამარჯვებული მიმწოდებლის არჩევა, ხელშეკრულების რეგისტრაცია, ძიება მოდულში.

ელ.სისტემის სერვისები მიმწოდებლების მხრიდან; პრეტედენტების-მიმწოდებლების მიერ ხშირად დაშვებული შეცდომები, ხარვეზები. ხარვეზების აღმოჩენის ინსტრუმენტები და მეთოდები. ზოგიერთი რეკომენდაცია ბიზნესის მხრიდან დარღვევების აღმოსაჩენად და საიდენტიფიკაციოდ.

<u>სააგენტოს ტრენერები:</u>

დიმიტრი კახნიაშვილი (1 ჯგუფი);

დავით ჯაიანი (2 ჯგუფი)